საქართველოს კომუნიკაციების
ეროვნული კომისია

N გ-19-03/2197
18/07/2019

2197-გ-19-03-2-201907181722

შპს "TV ERA"-ს

შეტყობინება

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და ,,საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის მარეგულირებელი წესების" 36-ე მუხლის მე-14 პუნქტის შესაბამისად, გატყობინებთ, რომ 2019 წლის 18 ივლისს, 15:00 საათზე დანიშნული კომისიის სხდომა შპს „TV ERA"-ს მიერ სამაუწყებლო არხების საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევით გადაცემის გამო ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხის განხილვა (საფუძველი: კომისიის აპარატის აუდიო-ვიზუალური მედია მომსახურებების რეგულირების დეპარტამენტის 2019 წლის 1 ივლისის N 19-10-1173 სამსახურებრივი ბარათი) გადაიდო და გაიმართება **2019 წლის 25 ივლისს 15:00 საათზე.**

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თარიღია 2019 წლის 12 ივლისი. გაცნობებთ, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 98-ე და 99-ე მუხლების შესაბამისად, თქვენ უფლება გაქვთ კომისიაში წარადგინოთ მტკიცებულებები, აგრეთვე შუამდგომლობები საქმის გარემოებათა გამოკვლევის თხოვნით, გაეცნოთ ადმინისტრაციული წარმოების მასალებს, მოითხოვოთ ადმინისტრაციულ წარმოებაში არსებული დოკუმენტების და სხვა მასალების ასლები. გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ კომისია უფლებამოსილია განიხილოს საკითხი და მიიღოს გადაწყვეტილება თქვენი გამოუცხადებლობის შემთხვევაში.

გთხოვთ, უზრუნველყოთ თქვენი უფლებამოსილი წარმომადგენლის მონაწილეობა კომისიის სხდომასა და ადმინისტრაციულ წარმოებაში.

დანართი:

1. (აპარატის აუდიო-ვიზუალური მედია მომსახურებების რეგულირების დეპარტამენტის 2019 წლის 1 ივლისის N 19-10-1173 სამსახურებრივი ბარათი თანდართული დოკუმენტაციით - 98 ფურცელი);
2. შპს „TV ERA"-ს შემოწმების ამსახველი ვიდეოჩანაწერი (1 CD);

ოლია ვოტ

უფროსი
ადმინისტრაცია

თბილისი, 0144 ქეთევან წამებულის გამზ./ბოჭორმის ქ. 50/18
ტელ.: +995 32 2921667, ფაქსი: +995 32 2921625 ელ-ფოსტა: post@gncc.ge; www.gncc.ge